11 ნოემბერი, პილსუდსკი და თავისუფალი პოლონეთი

1918 წლის 11 ნოემბერს პოლონეთმა, რომელსაც რუსეთი, პრუსია და ავსტრია 123 წლის განმავლობაში იყოფდა, დამოუკიდებლობა დაიბრუნა.

რა მოხდა იმ განსაკუთრებულ დღეს, რომელსაც მომავალში დამოუკიდებლობის დღე ეწოდა? ...

1918 წლის ნოემბერში პირველი მსოფლიო ომი დასრულდა. ამ ომმა დაასუსტა იმ ქვეყნების ძალა, რომლებიც პოლონეთს წლების განმავლობაში იყოფდნენ. იმ მომენტისთვის პოლონეთმა უკვე მიაღწია ნაწილობრივ სუვერენიტეტს: ვარშავაში მოქმედებდა სარეგენციო საბჭო (პოლონეთის დროებითი მთავრობა), რომელმაც დამოუკიდებლობას ჩაუყარა საფუძველი. ამის მიუხედავად, გერმანული ჯარი კვლავ განლაგებული იყო ქალაქში (ისტორიკოსების ცნობით, 30 ათასამდე ჯარისკაცი).

„1918 წლის 10 ნოემბერს მაგდესბურგის ციხიდან გერმანელების მიერ განთავისუფლებული იუზეფ პილსუდსკი ვარშავაში ჩადის [იგი ინტერნირებულ იქნა მას შემდეგ, რაც მან გერმანიისთვის ბრძოლაზე უარი თქვა]. 11 ნოემბერს ის ჯარის კონტროლს საკუთარ თავზე იღებს. 14-ში კი სრულ ძალაუფლებას ეუფლება. დისკუსია იმის შესახებ, თუ რომელი თარიღი უნდა ჩათვლილიყო ფორმალურად დამოუკიდებლობის დღედ, დიდხანს გრძელდებოდა.“

ხანგრძლივი დებატების მიუხედავად, უკვე მომდევნო, 1919 წლის 11 ნოემბერს, პოლონეთის დამოუკიდებლობის დღე აღნიშნეს. ეროვნული დღესასწაულის სტატუსი ამ თარიღმა კი, მხოლოდ 1937 წელს მიიღო.

ოფიციალურად, საგანგებო საბჭოს გადაწყვეტილებით 11 ნოემბერს პილსუდსკი პოლონეთის არმიის მთავარსარდალი გახდა. როგორც კი მან თანამდებობა დაიკავა, გადაწყვიტა პირველ რიგში კონტროლ ქვეშ აეღო ვარშავა - ყოფილი და პერსპექტივაში დამოუკიდებელი პოლონეთის დედაქალაქი. ამ მიზნით, პოლონელებმა გერმანელებისგან ძირითადი სტრატეგიული ადგილები დაიბრუნეს - პოლიციის განყოფილებები და საბრძოლო იარაღის საწყობები. რა თქმა უნდა, ოპერაცია სარისკო იყო და შეიძლებოდა ადვილად გამოეწვია შეიარაღებული შეტაკებები. ზედმეტი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად, იმ დღეს, დილით, პილსუდსკიმ გერმანელი ჯარისკაცების კომიტეტს საპრეზიდენტო სასახლის წინ სიტყვით მიმართა.

პილსუდსკიმ ჯარისკაცებს უსაფრთხოებისა და მშვიდობიანი ევაკუაციის გარანტია მისცა. ამის სანაცვლოდ, მან გერმანელებს სტრატეგიულ ობიექტებზე კონტროლის დაბრუნება და იარაღის დაყრა მოსთხოვა. იმავე დღეს პოლონეთის სამხედრო ორგანიზაციის ცენტრალურმა კომიტეტმა, POW- მა [პოლონეთის მიწისქვეშა სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც პოლონეთის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა] შემდეგი ბრძანება გამოსცა: ”თავიდან აიცილეთ სისხლიანი შეტაკებები გერმანელ ჯარისკაცებთან. გარნიზონებზე თავდასხმა გამორიცხულია. დაე, მშვიდობიანად დაბრუნდნენ სამშობლოში მას შემდეგ, რაც ისინი შეიარაღებას და აღჭურვილობას გადმოგვცემენ”

წყარო: Mirosław Maciorowski. Kto w Listopadzie Rozbroił Niemców (ვინ განაიარაღა გერმანელები)

იოზეფ პილსუდსკი

დღის მეორე ნახევარში პოლონეთის ჯარებმა ქალაქში სტრატეგიული ობიექტების დაკავება დაიწყეს. ვარშავის მოსახლეობა მათ წარმოუდგენელი ენთუზიაზმით შეხვდა და ჯარისკაცებს რიგითი მოქალაქეებიც კი ეხმარებოდნენ. სასწაულებრივად, ოპერაცია შედარებით მშვიდობიანად ჩატარდა: ორივე მხარემ მხოლოდ რამდენიმე ადამიანი დაკარგა. დღის ბოლოს სტრატეგიული პუნქტების უმეტესობა პოლონელების ხელში იყო, თუმცა გერმანელები ჯერ კიდევ იკავებდნენ ციტადელს ზოლიბორზის რაიონში. იმავე დღეს გერმანიამ ანტანტასთან (სამხედრო პოლიტიკური ბლოკი - რუსეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი) დადო ზავი, რის შედეგად პირველი მსოფლიო ომი დასრულებულად გამოცხადდა.

თუმცა, იმისათვის რომ სრულად გავიგოთ, 11 ნოემბერს ასე მარტივად რატომ დათმეს გერმანელებმა ვარშავა, ერთი დღით ადრე უნდა დავბრუნდეთ.

10 ნოემბერს, დილის მატარებლით პილსუდსკი პოლონეთის დედაქალაქს სტუმრობს. ერთ-ერთი ვინც პილსუდსკის ხვდება, არის ახალგაზრდა სამხედრო პირი იუზეფ ენჩკოვიაკი. შეხვედრის დროს მარშალი გერმანიაში ნანახ აღელვებულ ხალხს იხსენებს, რისი მომსწრეც იქ გახდა. ომით გადაღლილი ჯარისკაცები ამბოხს აწყობდნენ და ქმნიდნენ კომიტეტებს, რომელთა დახმარებით, მათი სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლებისთვის იბრძოდნენ.

ამ მოვლენებს ახლა ისტორიკოსები გერმანიის ნოემბრის რევოლუციით იხსენიებენ. სწორედ ამიტომ უნდოდა პილსუდკის ენჩკოვიაკის გაგზავნა ვარშავაში დავალებაზე, რომ გერმანელთა ჯარისკაცები მორალურად დაესუსტებინა.

გერმანელი ჯარისკაცის ფორმაში გადაცმულმა ენჩკოვიაკმა, დამხმარეებთან ერთად, გერმანელთა ერთ-ერთი ყაზარმა მოინახულა და იქ შეკრებილებს მიმართა:

“მე ვიდექი მაგიდაზე და მთელი მონდომებით ვყვებოდი გერმანიის რევოლუციაზე და იმაზე, რაც პილსუდსკისგან გავიგონე (...) ხალხმა ყვირილი დაიწყო, თავიდან მხოლოდ რამდენიმემ, შემდეგ ბევრმა: „ჩვენც იგივეს გავაკეთებთ, „გაუმარჯოს რევოლუციას!“. მე არ მინახავს, რომ ვინმე უარზე ყოფილიყო (...) “. - ერთ-ერთი მზვერავის მოგონებებიდან.

გერმანელი ჯარისკაცები, რომლებიც ვარშავაში იდგნენ, ასევე გადაღლილები იყვნენ ომით და სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობდნენ. ენჩკოვიაკის სიტყვის შემდეგ მათ საკუთარი კომიტეტი დააფუძნეს, რომელიც პილსუდკისთან გერმანული ჯარის ევაკუაციის საკითხზე თანამშრომლობდა. ჯარისკაცთა განიარაღება 10 ნოემბერს დაიწყო, თუმცა უმეტესწილად ეს პროცესი 11 ნოემბერს წარიმართა.

გერმანელი ჯარისკაცის განიარაღება

ამ დღის აღწერის არაერთი ისტორიული წყარო გვხვდება ჩანაწერებისა და დღიურების სახით:

„თავისუფლები ვართ! ჩვენ თვითონ ვმართავთ ჩვენ ქვეყანას! ეს ნამდვილად მოხდა, თან ისე მოულოდნელად, რომ გერმანელები შოკში არიან, სადღაც-სადღაც წინააღმდეგობას გვიწევენ, მაგრამ განიარაღების უფლებას არამარტო ჯარისკაცებს, არამედ ჩვეულებრივ მოქალაქეებსაც აძლევენ... უცნაური ამბები ხდება ჩვენს დედაქალაქში!“-მარია ლიუბომირსკის დღიურებიდან.

ერთ-ერთი ასეთი ჩანაწერი გვხდება მწერალ, მარია დომბროვსკაიას „დღიურში 1914-1945“, რომელიც მან 2009 წელს გამოაქვეყნა:

მშვენიერი ამინდი დგას. დილიდანვე ყოველ კუთხეში გერმანელ ჯარისკაცებს განაიარაღებენ (...) მთელი დღეა ქუჩები სავსეა ხალხით. ტრამვაი დადის, როგორც ჩვეულებრივ. ყველგან მოძრაობენ ჯარისკაცებით სავსე ავტომობილები (...) ამ ყველაფრის ფონზე ღდგება პოლონეთი. და ვერავინ ხედავს როგორი ლამაზია ის. ვერავინ ამჩნევს ამ ალიაქოთში.

ძალიან მალე დამოუკიდებელი პოლონეთი დაინახეს მთელ მსოფლიოში. ვარშავას და სხვა პოლონური ტერიტორიების გათავისუფლება ძირითადად მშვიდად მიმდინარეობდა: ფაქტობრივად რამდენიმე დღეში ყველა გერმანელმა ჯარისკაცმა დატოვა პოლონეთის დედაქალაქი. 16 ნოემბერს პილსუდსკიმ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის და სხვა ქვეყნის მთავრობებს ტელეგრამა გაუგზავნა:

როგორც პოლონეთის ჯარის მთავარსარდალი, ომში მონაწილე და ნეიტრალური ქვეყნების სახელმწიფოებს გატყობინებთ პოლონეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის შესახებ, რომელიც საკუთარ თავში გამთლიანებული პოლონეთის მთელ მიწებს მოიცავს. (...) პოლონეთის სახელმწიფო მთელი ერის ნების საფუძველზე აღორძინდა და დაფუძნებული იქნება დემოკრატიულ პრინციპებზე.

2012 წელს პოლნელი ჯარისკაცების ცენტრალური კლუბის მიერ გამოქვეყნებული წიგნიდან «11th November — National Independence Day»

აღორძინების გზაზე მდგარი სახელმწიფოს საზღვრების დადგენა კიდევ ცალკე საქმე იყო, თუმცა მას შემდეგ, რაც 11 ნოემბერს პოლონეთმა დედაქალაქი და პოლიტიკური ცენტრი დაიბრუნა, ეჭვი აღარ იყო - დამოუკიდებელი პოლონეთი ისევ არსებობს!

გამოყენებული წყაროები: Wikipedia, culture.pl, dw.com

ავტორი: გიორგი ბოლქვაძე